თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. თელავი 18.06.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: **დ. გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი; ზ. ნაცარაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გ. ორკოდაშვილი**; დეპუტატები: **მ. მარკოზაშვილი; დ. ღაღანიძე; გ. ჩაბრაშვილი; ზ. ყარასაშვილი; გ. წაწალაშვილი; ვ. არაბული; ა. კუპატაძე; ა. თვალიაშვილი; გ. ქიზიყელაშვილი.** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი**; საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **დ. ნუსხელიძე**; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნ. ესიტაშვილი**; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნ. ვაყელიშვილი**; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **დ. ქსოვრელიშვილი**; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - **ვ. გაგნიძე**; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **გ. ენუქიძე**; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - **ლ. ბერძენაშილი.**

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შედანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> დ. გოგოშვილმა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - **ვ. გაგნიძეს.**

მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს - პროგრამიდან ამოღებულ იქნას დაბახნების არქეოლოგიური ობიექტის კონსერვაციის პროექტის შესყიდვა (ღირებულებით 5000 ლარი), დაბახნების საკონსერვაციო სამუშაოები (ღირებულებით 10300 ლარი) და გამოთავისუფლებული თანხით (15300 ლარი) დაფინანსდეს 2 ახალი პროექტი.

თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი - 144 000 ლარი რჩება უცვლელი.

გადაწყვიტეს: კომისიის წევრებმა წარმოდგენილი პროექტი შეაფასეს დადებითად.

მოისმინეს: 2, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შედანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ. გოგოშვილმა და კომისიის წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს - **გ. ენუქიძეს;**

მან აღნიშნა, რომ ვინაიდან გასულ წელთან შედარებით სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისა და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების ან/და მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამებზე მოქალაქეთა მომართვიანობა გაზრდილია და აღნიშნულ ქვეპროგრამებში გათვალისწინებული თანხები დღეის მდგომარეობით თითქმის ამოწურულია. ამასთან 2019 წლის ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოძიება ვერ მოხერხდა, 150 000 ლარით შემცირდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის დაფინანსების ქვეპროგრამის ბიუჯეტი და აღნიშნული თანხა მიმართულ იქნას ზემოაღნიშნული ქვეპროგრამების დასაფინანსებლად.

კომისიის წევრების აზრით საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და სტატისტიკის მიხედვით აღნიშნული თანხა მიზერულია, საჭიროა სერიოზული მუშაობა, რათა ბიუჯეტში მოძიებულ იქნას დამატებითი თანხები ქვეპროგრამების წლის ბოლომდე გასაგრძელებლად.

გადაწყვიტეს: კომისიის წევრებმა წარმოდგენილ პროექტს მხარი დაუჭირეს.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ. გოგოშვილმა საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - ნ. ვაყელიშვილს.

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ითვალისწინებს სოფ. ლალისყურში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობისათვის მიწის ნაკვეთის შეძენას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირებისთვის ღონისძიებების განხორციელებას, უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების

თავშესაფარში გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევას; ა(ა)იპ ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავის“-ს ვეტერანი ძიუდოისტების ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის თანხების მობილიზებას; სოციალურ პროგრამების დაფინანსებებს შორის განხორციელებულ ცვლილებების ასახვას, აგრეთვე დარჩენილი ნაშთის ასახვას და საქ. მთავრობის 2019 წლის 17 მაისის N1125 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთვარობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გამოყოფილი თანხის გათვალისწინებას.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> წარმოდგენილი ცვლილება მოწონებულ იქნა კომისიის წევრების მიერ.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი